ქრონიკა

აჭარის საარქივო სამმართველო -100

2023 წლის 11 აპრილს აჭარის საარქივო დაწესებულებას 100 წელი შეუსრულდა. საარქივო დაწესებულების 100 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია (27-28 აპრილი), რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თურქეთის, ფინეთის, ბულგარეთის და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები. 19 აპრილს კი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დასკვნითი საიუბილეო ღონისძიება. საარქივო სამმართელოს თანამშრომლებს საიუბილეო თარიღი მიულოცა და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სააქრქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა.

არქივისტებს საიუბილეო თარიღი მიულოცეს აჭარის მთავრობის (თორნიკე რიჟვაძე, მთავრობის თავმჯდომარე, მაია ხაჯიშვილი - განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი) და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებმა, ასევე საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა (რესან კონცელიძე) და ეროვული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვილილისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მედლით დაჯილდოვდა ღვაწლმოსილი არქივისტი ელგუჯა ჩაგანავა. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე: თამაზ ფუტკარაძე, ნაზიბროლა შარაშიძე, ნოდარ ზაქარიაძე, ავთანდილ ლეონიძე, მზექალა გირიხიდი, ცირა თავართქილაძე და ეთერ ნათელაძე.

საარქივო სამმართველოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა ,,ხუთი ამბავი აჭარის არქივიდან'', რომელშიც გადმოცემული იყო უაღრესად საინტერესო ინფორმაცია არქივის დაარსების, გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, თეატრის, კათოლოკური ეკლესიის დაარსებისა და სხვა საკითხებზე.

საიუბილეო კონფერენცია

2023 წლის 27 აპრილს აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში გაიმართა საარქივო სამმართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: იასტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თურქეთის, ფინეთის, ბულგარეთის და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები. კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: თ. ფუტკარაძე, მ. რურუა, ლემპი ლისკი, ცირა მესხიშვილი, ლელა სარალიძე, ბაიარ შაჰინი, მარიამ მარჯანიშვილი, მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი)



28 აპრილს სტუმრებისათვის მოეწყო ექსკურსია მაღალმთიან აჭარაში

ღონისძიება ტეროტორიულ ორგანო - ხულოს არქივში

2023 წლის 25 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო ხულოს არქივში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და საარქივო სამმართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო-ხულოს არქივის უფროსი ლევან ბოლქვაძე. მოხსენებებით: ,,საქართველო 1918-1921 წლებში. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების ღონისძიებები - არქივის დაარსება" და სასაზღვრო დავების საკითხი მრუდე სარკეში, სომხეთ-საქართველოს ომი" გამოვიდნენ ბსუ-ის პროფესორი ირაკლი ბარამიძე და საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსი, პროფესორი თამაზ ფუტკარაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი არქივის თანამშრომლები, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს მერი - ვახტანგ ბერიძე, ხულოს

მერიის, საკრებულოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

გამოფენა
საარქივო სამმართველო - 100

2023 წლის აპრილში საარქივო სამმართველოს შეუსრულდა დაარსებიდან 100 წელი. აღნიშნულთან დაკაშირებით არქივსა და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში მოეწყო გამოფენა - ,,საარქივო სამმართველო - 100".

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

2023 წლის 24-31 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში მოეწყო **საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.** გამოფენა დაათვალიერეს საარქივო სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა მაია ივანიშვილმა, უფროსის მოადგილეებმა: ბესიკ ბაუჩაძემ, რამაზ ბოლქვაძემ, ანზორ თხილაიშვილმა, არქივის თანამშრომლებმა და მკვლევარებმა.

აჭარის არქივი- მიწის რეგისტრაციის პროცესში

საქართველოში მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების რეგისტრაციის მიმდინარე პროცესში ჩართულია აჭარის საარქივო სამმართველოც. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში საარქივო სამმარველომ უნდა უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ინფორმაციის ელოქტრონული ვერსიის მიწოდება.

ამასთანავე, საარქივო სამმართველოს სისტემაში მიმდინარე დიგიტალიზაციის პროცესიდან გამომდინარე, „საარქივო საინფორმაციო სისტემის ვიზუალური ტექნიკური და ფუნქციური მომზადების მიზნით, საარქივო სამმართველოს მიერ დასკანირებული ფაილების (დოკუმენტების) სისტემური აღქმისთვის, ამასთან, ზემოთნახსენები სამუშაობეის შესასრულებლად, საარქივო სამმართველოში შექმნილია სამუშაო ჯგუფი. შეიძლება ითქვას, მთელი სამმართველო აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში, რათა საჯარო რეესტრს დროულად მიეწოდოს ზემოთნახსენები ინფორმაციის ციფრული ვერსია და არ შეფერხდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად განხორციელება.

აღნიშნული საქმიანობა, ხელს უწყობს როგორც გრძელვადიანი საარქივო

დოკუმენტაციის შენახვა-გადარჩენას, ასევე უზრუნველყოფს მათ მოკლე დროში დაინტერესებული პირებისათვის მიწოდებას; პროცესს გაეცნო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, რომელმაც საარქივო სამმართველოს უფროსთან მაია ივანიშვილთან და მოადგილესთან ბესო ბაუჩაძესთან ერთად განიხილეს დარგში არსებული გამოწვევები და დასახეს სამომავლო გეგმები.

პუბლიკაციები

აჭარის საარქივო სამმართველომ გამოსცა არქივის 100-წლის იუბილისადმი მიძღვნილი მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული და ანალიტიკურ-მეთოდური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსის ელგუჯა ჩაგანავას წიგნი ,,აჭარის არქივისტები“.

კრებულში წარმოდგენილია ქართველი, ბულგარელი და ფინელი მეცნიერების ნაშრომები, ხოლო ე. ჩაგანავას წიგნში მოცემულია იმ 156 არქივისტის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მუშაობდნენ აჭარის საარქივო დაწესებულებაში 1923 წლიდან და რომელთა შესახებ მასალები დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში.